

გაზრდითი ბიუროს „კონტაქტ“ ერთია

30 იან



ორგანიზაცია

ორგანიზაცია

არასკავი

ფასი 50 თერილი

№ 60 (1086) 1 - 2 ივნისი, 2015 წელი

მსს-მ პოლიციელის
დღე ქათაისში აღნიშნა



გიგანტური აგრძელებულის მრავალი ისტორია

ნას ფიქრობს
ღევან ვასაძის
„არანორმაციული
სექსუალური
ცხოვრების“ ნება
— განემოსა
და ბუნებრივი
ნესუნსების
დაცვის მინისცნის
არამინისცნული
პორცონი



არა-ჩვეულებრივი ინციდენტი

ვაროს ფაქტორი ნაცორქაობაში
მურისებრება უსილად თუ მზადება არჩევნებისთვის



რაფოდ თქვა უარი მიშამ საქართველოს მოქადაქეობაზე


ინცესტიურში მცხოვრები მრი გაჭირვებული
რჩახი „ავარსის“ ახალ კლინიკას ენირება?!




ნაკა თუ არა „ავერსის“
ღირექცონი პააფა 7
კურცანიძე ღათმობაზე

ჩერენა და გვილი „ტრეკი“

ნობორ გახდა
აღვოკაფობაზე
მეოცნებე ქისფი
ბაჟაურინი პოდანდიაში
„მოღვაწე“ ჩეჩნენი
დაჯეფების ნევრი





თვითმდგრადი დაბადების დღე ჩამნასა

აშშ-ში, ნიუ იორკის მახლობლად მცხოვრები კამპრეს იჯახი ქალიშვილის, ჯასინდას 16 წლის იუბილეს აღნიშნავდა და რაკი სტუმრები მრავლად იყვნენ, გადაწყვიტეს, ზემინი სახლის გარეთ, მდელოზე მოეწყოთ. დღესასწაული მხიარულად მიმდინარეობდა, გამოიტანეს იუბილარის ტორტიც... თუმცა, მარტ ციდან უჩვეულო „წვემა“ წმიოდა — შეკრებილება მიხვდნენ, რომ „რაღაც წესრიგში ვერ იყო“, როცა ყავისფერი ლაქებით „გალამაზდნენ“. შოკა რომ გადაიარა, გააცნობიერეს, რომ ციდან ფეკალიები ცვიოდა, ინციდენტის შესახებ მაშინვე პოლიციას შეატყობინეს. სამართლადამცავების გამოძიებაში აშშ-ს საავიაციო მართვის სპეციალისტებიც ჩატრონენ და გაირკვა, რომ იმ მომენტისთვის კამპრეს სახლის თავზე, ერთდროულად რამდენიმე სამგზავრო ავიალინერი ფრენდა. ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელ თვითმფრინავში მოუვიდათ აზრად, ფეხალიერი ხალხის თავზე ჩამოეყარათ. მოქმედი წესების მიხედვით, ყველა სამგზავრო ავიალაინერი ვალდებულია, ფეხალიერისაგან აეროპორტში გათავისუფლდეს.

ცასიყვარულო სამკუთხეფი დაკანონების




როგორც ჩანს, ლიბერალიზმს საზღვარი არ აქვს. ბრაზილიაში სასიცვარულო სამკუთხედი უკვე კანონითაც დაამოწმეს — აქ ერთმანეთზე სამი ადამიანი ოფიციალურად დაქორნინდა. არატრადიციული საქორნინო კავშირის სამი მონაწილე, რომელთა სახელებიც არ ხმაურდება, რიო-დე-ჟანეიროში ცხოვრობს. მათი შეუდლება ნოტარიულად იურისტმა კლაუდიო ნაშიმენტო-დომინგესმა დაამოწმა. ჩვენ უბრალოდ ვალიარეთ ის, რაც დიდი ხნის წინ ისედაც არსებობდა. ამ ფაქტით ახალი არაფერი თქმულა, — განაცხადა ნოტარიუსმა. აღსანიშვნასა, რომ პრეცედენტს მაშინვე გამოეხმაურნენ სასულიერო პირები და ბრაზილიის კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები. მათ განაცხადეს, რომ ასეთი ქორინების დაკანონება ოჯახის ინსტიტუტს გაუფასურებს.



მაღალი აღამიანები ეთ ღულუ უოულობენ

ამერიკულმა მევლევარებმა ოპაიოს უნივერსიტეტიდან გაარკვის, რომ სიმაღლის ყოველი 2,5 სანტიმეტრი ადამიანის ყოველწლიურ შემოსავალს დაახლოებით 800 დოლარით ზრდის. სპეციალისტებმა გააანალიზეს 1958 წელს დაბადებული მამაკაცების მონაცემები, გაითვალისწინეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, ინტელექტი და ფიზიკური შესაძლებლობები. ყველაზე შესამჩნევი რეევა 162,6 და 167,6 სანტიმეტრის სამაღლეს შირისა აღმოჩნდა. მთლიანობაში, დასავლეთის ქვექნებში სიმაღლეში სხვაობა 10-12 სანტიმეტრით დაკავშირებული აღმოჩნდა 9-15%-ით მომატებულ ხელფასთან. თანაც, ეს ვრცელდებოდა მხოლოდ ოფისის თანამშრომლებზე და არა მათზე, ვინც ფიზიკურად მუშაობს. ზოგიერთი მკაფიოვარი ვარაუდობს, რომ მაღალი ადამიანები მეტ თანხას იმიტომ შოულობენ, რომ უკეთ აქვთ განვითარებული სოციალური უნარები, ინტელექტიც მაღალია და უფრო თავდაჯერებულებიც არიან. სხვა მოსაზრების მიხედვით კი, მაღლებს მეტად აფასებენ.





თამბაქოს კვამლით გაფლენთილი ავაზი კიბოს ინკვეს

ასეთი დასკვნა დადგეს ამერიკელმა მეცნიერებმა ბერკლის ეროვნული ლაბორატორიიდან. მათი თქმით, ეს ადამიანის გენომში შეღწევის გზით ხდება. „მესამეგზის მოწევა“ — კვამლია, რომელიც სახლის ავეჯმა შეინოვა. შედეგად კი, ასეთმა პროცესმა, შესაძლოა, სასიკეთო პირობები შექმნას სიმსივნური წარმონაქმნის განვითარებისთვის, რომელიც აღწევს ადამიანის გენომში და არღვევს მას. მეცნიერ-მუშაკები ამტკიცებენ, რომ ავეჯის ანაორთქლთან მოკლეხნიანი კონტაქტის შემდეგ ადამიანის ორგანიზმი ცოცხალი უჯრდები კვდება და იცვლება დნმ-ის სტრუქტურა. მსგავსი მოვლენის შედეგი კი შეიძლება იყოს ონკოლოგიური დაავადება. სპეციალისტები გვირჩევენ, თავიდან მოვიშოროთ ავეჯი, რომელიც მთლიანადაა გაუღენ-თილი სიგარეტის კვამლით.

მიცვალებულების გადაუხდევობის გამო „ასახლებენ“


თუ სიკვდილს დააპირებთ, ამას გვატემალაში ნუ გააკეთებთ, რადგან თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ თქვენი ახლობლები ურს იტყვიან, გადაიხადონ თანხა საფლავის შენახვისთვის, აუკილებლად მოგვიწვეთ „უკანასკნელი განსავენებლის“ მიტოვება. თავგადასავალი აქ სიკვდილის შემდეგ იწყება, როცა „ურჩ“ მიცვალებულებს საფლავიდან „ასახლებენ“ — გვატემალაში „გადახდისუნარ“ მუშიერს თხრიანსაფლავიდან და იქვე ახლოს, სამრ სასაფლაოზე მარხავენ.



ფეხსაცმელზე შეუვარებული რეკორდსმენი

გინესის რეკორდების წიგნში ამერიკელი დარლინგ ფლანი ფეხსაცმლის ყველაზე დიდი კოლექციით შევიდა. ალმოჩნდა, რომ 57 წლის ქალს უმდიდრესი კოლექცია აქვს მსოფლიოში. ფლინს „ფეხსაცმლის მბრძანებელსა“ და „ფეხსაცმლის დედოფალს“ უწოდებენ. თავადაც ალიარებს, რომ ჩაცმულობის ეს ატრიბუტი უკვე მანიდა ექცა და უზარმაზარ კოლექციას ნახევარ მილიონზე მეტი დოლარი დაახარჯა. ალსანიშნავია, რომ შარშან ფლინმა თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — გინესის წიგნში 2006 წელს 7765 ნივთით შევიდა, ახლა კი მის მფლობელობაში უკვე 16400 ექსპონატია და ისინი მსოფლიოს 60 ქვეყანაშია შეგროვილი. დარლინგი სწორედ ამ გამდიდრებული კოლექციით გახდა შემორიგენის რეკორდსმენი. მის ბიბლიი ყველაფერი ფეხსაცმლშია „გამოწყობილი“ — საპონს, ბირსაორცას თუ ტუალეტის ქაღალდებაც კი ფეხსაცმლი „აცვია“. ამ ყველაფრის პატრონს დღეს უჭრის გახსენდა, ასე ძალიან რატომ გაიტაცა ფეხსაცმლის კოლექციონერბამ. მომავალში კი მუზეუმის გახსნას გეგმავს და ფეხსაცმლის ფორმის სახლში ცხოვრებაზე ოცნებობს.

ლინა ნომერი გასული სკანდორებისა და სუღორების პასუხები



გერმანიაში ყველაზე დიდი ავტობუსი დადის



ვარსი

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprini@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამუშავებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ასაზისმახვილი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი — ნინო ებანიძე
დიზაინერი — გიორგი ლომიძე
ტელ: 590 740999; 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

ეუთაგში პოლიციალის დღისადან მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიხართა

პოლიციის დღისადმი ქუთაისში გამართულ საზეიმო ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვასტანგ გომელაური, მთავრობისა და პარლამენტის წევრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციების წევრები პარტნიორი ქვეყნებიდან — ლატვიიდან, ლიტვიდან, გერმანიიდან, სომხეთიდან, ბელარუსიდან, თურქეთიდან და მოლდოვადან დაესწრენ. ლონისძიება წუთიერი დუმილით გაიხსნა. სტუმრებმა პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას.

სამართალდამცველებს პროფესიული დღე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, შე მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მიუღოცეს.

შე მინისტრმა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაკობისა და თავდადებისათვეს შსს-ს პირველი ხარისხის მედლით „განსაკუთრებული



დამსახურებისათვის“, სიკვდილის შემდეგ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელები — ბექა მარგარივილი და გიორგი ბერუუშვილი დააჯილდოვა. მედლით „მამაცობისთვის“ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი პოლიციელები — ვალერიან გრძელიშვილი და გიორგი მახარაშვილი და ის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ, რომლებმაც ქობულეთში, სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილი ხანძრის დროს მოქალაქეთა ევაკუაციაში მიღდეს მონაწილეობა. შე მინისტრმა „20 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის მაიორი ხათუნა დობორჯინიძე. სამკერდე ნიშნით — „10 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“ სხვა თანამშრომლებიც დაჯილდოვდნენ

ოფიციალური ღონისძიების დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, სტუმრებთან ერთად, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის მიერ წარმოდგენილი ავტოპარკი, ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა დათვალიერება.

